



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 478

18 დეკემბერი
“ --- ” ----- 2015 წ

ძ. თბილისი

ქ. თბილისში, რეხის I ქუჩის მიმდებარედ არსებული 2427 კვ.მ. და 565 კვ.მ. მიწის
ნაკვეთების (საკ/კ N 01.16.08.001.079 და N 01.16.08.001.061) გაცვლის
ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის ჩივემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118¹ მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის
მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-2
მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისის
მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 9 დეკემბრის №49.23.1404 განკარგულებით
გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, რეხის I ქუჩის მიმდებარედ არსებული 2427
კვ.მ. და 565 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (ს/კ №01.16.08.001.079; №01.16.08.001.061) განსაზღვრული
საპრივატიზებო საფასურით, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე ლელი კეკელიძისთვის (პ/ნ
№01026006102) საკუთრებაში გადასაცემად, მის სახელზე რეგისტრირებული ქ.თბილისში,
კრწანისის ქუჩა №12-ში მდებარე 388 კვ.მ. უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთის (ს/კ
№01.18.06.015.033) სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით
გათვალისწინებული პირობებით.

2. საპრივატიზებო საფასურს, გადასაცემ და მისაღებ ქონებას შორის სხვაობას, 31470
(ოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
სასარგებლოდ გადაიხდის ლელი კეკელიძე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის
ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი:
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

_____ 2015 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118¹ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 9 დეკემბრის #49,23,1404 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის #478 განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ----- მიერ - პ/ნ: #-----) და მეორეს მხრივ, ლელი კველიძე (პ/ნ: #01026006102; მის: -----) (შემდგომში „მხარე“, ერთობლივად როგორც „მხარეები“), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სააგენტო საკუთრებაში გადასცემს, ხოლო „მხარე“ საკუთრებაში იღებს - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას (შემდგომში: „მუნიციპალიტეტის ქონება“):

ა) ქ. თბილისში, ქუჩა I რეხის, მიმდებარედ არსებულ 2427 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.16.08.001.079)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №----- - მომზადების თარიღი -----

ბ) ქ. თბილისში, ქუჩა I რეხის, მიმდებარედ არსებულ 565 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.16.08.001.061)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №----- - მომზადების თარიღი -----

1.2 „მხარე“ ხელშეკრულების 1.1 მუხლში მითითებული „მუნიციპალიტეტის ქონების“ სანაცვლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცემს თავის საკუთრებაში არსებულ - ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა #12ა-ში არსებულ 388 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.18.06.015.033) (შემდგომში - „ქონება“)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №----- - მომზადების თარიღი -----

მუხლი 2 . ინფორმაცია ურთიერთგადასაცემი ქონების შესახებ

2.1 „სააგენტო“ ადასტურებს, რომ უძრავი ქონება, რომელთა საკადასტრო კოდებია - #01.16.08.001.079 და #01.16.08.001.061 წარმოადგენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

2.2 „მხარე“ ადასტურებს, რომ უძრავი ქონება, რომლის საკადასტრო კოდია - #01.18.06.015.033 წარმოადგენს „მხარის“ საკუთრებას.

მუხლი 3. ქონების ღირებულება

3.1 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნების (#006649215; გასვლის თარიღი: 10.11.2015წ. და #007170415; გასვლის თარიღი:

- 30.11.2015წ) თანახმად, „მუნიციპალიტეტის ქონების“ (საკადასტრო კოდი: #01.16.08.001.079) საბაზრო ღირებულება, 10.11.2015 წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 255 853 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათას რვაას ორმოცდაცამეტი) ლარს და #01.16.08.001.061 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 30.11.2015 წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 66 585 (სამოცდაექვსი ათას ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარს (ჯამში 322 438 (სამას ოცდაორი ათას ოთხას ოცდათვრამეტი) ლარს.
- 3.2 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 17.07.2015წელს გაცემული #004120215 ექსპერტიზის დასკვნის და 06.11.2015წ #5005735915 წერილის საფუძველზე „ქონების“ საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 290 968 (ორას ოთხმოცდაათი ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარს.

მუხლი 4. საპრივატიზებო პირობა

- 4.1 „თვითმმართველი ქონებისა“ და „ქონების“ საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა - 31 470 (ოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარი გადაიხადოს „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 1 თვის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა;

მუხლი 5. საკუთრების უფლების გადაცემა

- 5.1. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლება მყიდველს გადაეცემა საპრივატიზებო პირობების შესრულების შემდგომ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

- 6.1 „მხარე“ ვალდებულია:

- 6.1.1 გადასცეს „სააგენტოს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „ქონება“
- 6.1.2 დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.
- 6.1.3 მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
- 6.2 „სააგენტო“ ვალდებულია, გადასცეს „მხარეს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „მუნიციპალიტეტის ქონება“.

მუხლი 7. მხარეთა განცხადებები

- 7.1 „სააგენტო“ აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.
- 7.2 „მხარე“ აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.
- 7.3 „მხარეები“ აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

- 30.11.2015წ) თანახმად, „მუნიციპალიტეტის ქონების“ (საკადასტრო კოდი: #01.16.08.001.079) საბაზრო ღირებულება, 10.11.2015 წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 255 853 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათას რვაას ორმოცდაცამეტი) ლარს და #01.16.08.001.061 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 30.11.2015 წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 66 585 (სამოცდაექვსი ათას ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარს (ჯამში 322 438 (სამას ოცდაორი ათას ოთხას ოცდათვრამეტი) ლარს.
- 3.2 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 17.07.2015წელს გაცემული #004120215 ექსპერტიზის დასკვნის და 06.11.2015წ #5005735915 წერილის საფუძველზე „ქონების“ საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 290 968 (ორას ოთხმოცდაათი ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარს.

მუხლი 4. საპრივატიზებო პირობა

- 4.1 „თვითმმართველი ქონებისა“ და „ქონების“ საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა - 31 470 (ოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარი გადაიხადოს „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 1 თვის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა;

მუხლი 5. საკუთრების უფლების გადაცემა

- 5.1. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლება მყიდველს გადაეცემა საპრივატიზებო პირობების შესრულების შემდგომ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

- 6.1 „მხარე“ ვალდებულია:

6.1.1 გადასცეს „სააგენტოს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „ქონება“

6.1.2 დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

6.1.3 მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

- 6.2 „სააგენტო“ ვალდებულია, გადასცეს „მხარეს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „მუნიციპალიტეტის ქონება“.

მუხლი 7. მხარეთა განცხადებები

- 7.1 „სააგენტო“ აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.
- 7.2 „მხარე“ აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.
- 7.3 „მხარეები“ აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

- 7.4 „მხარე“ ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.
- 7.5 „მხარე“ ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 8.1 „ხელშეკრულების“ 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში „მხარეს“ ეძლევა გაფრთხილება და მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო „ქონების“ ღირებულების 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 8.2 „ხელშეკრულების“ 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში „მხარეს“ ეძლევა გაფრთხილება და მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 8.3 ხელშეკრულების 6.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მხარეს“ ეძლევა გაფრთხილება და მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო 50 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 8.4 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

- 8.5 „მხარის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის შემთხვევა და/ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობა „სააგენტოს“ მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად.
- 8.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის ან/და ქონების ფასის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ამასთან, ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

- 9.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის“ კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. ასეთი გარემოებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, გაფიცვებს, საბოტაჟს, სამოქალაქო არეულობას, ომს (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი) ან სხვა სამხედრო, ტერორისტულ ან პარტიზანულ მოქმედებებს, ბლოკადას, აჯანყებას, მიწისძვრებს, ზვავებს ან სხვა მსგავს მოვლენებს, მათ შორის, სამშენებლო მასალების და აღჭურვილობის გადმოზიდვაში ხელის შეშლას აჯანყების, წარმოების შეფერხების ან რაიმე შემთხვევის გამო, რამაც შეიძლება გააჩეროს ან შეაფერხოს მასალების და აღჭურვილობის გადმოზიდვა საქართველოში და „უძრავი ქონების“ ტერიტორიაზე, რომელიც არ ექვემდებარება იმ „მხარის“ კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ „მხარეს“ არ შეეძლო.
- 9.2 თუ რომელიმე „მხარე“ ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, იგი ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს“ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის ან შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) საათისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში „მხარე“ კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან

გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ასეთი მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე, ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

- 9.3 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.
- 9.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.
- 9.5 ფორს-მაჟორული გარემოების 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები“ უფლებამოსილი არიან, განიხილონ „ხელშეკრულების“ შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ან შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 10. სხვა პირობები

- 10.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
- 10.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.
- 10.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
- 10.4 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 10.5 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 11. შეტყობინებები

- 11.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ან ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით;
- 11.2 ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიზნებისათვის მხარეთა რეკვიზიტებია:

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

ლელო კეკელიძე
